სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

www.procurement.gov.ge

E NEWSLETTER

N4

გამოცემა 2015

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მისამართია:

**თბილისი, 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა
(ისანი - ყოფილი ბაღდადის ქუჩა), №8.**

სააგენტოში მოქმედებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

(032) 2 48 48 22

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.

სასწავლო ცენტრი გაიხსნა



2014 წელს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საჯარო სექტორის უწყებების (ორგანიზაციების) შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების მიზნით, შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი - სასწავლო ცენტრი, რომლის მიზნებია: სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში დაინტერესებული პირების მომზადება; კანონმდებლობის მათთვის განმარტება და პრაქტიკაში გამოყენება; სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement დარეგისტრირება და მისი მოხმარების ხელშეწყობა; სატენდერო დოკუმენტაციის სათანადოდ შედგენის უზრუნველყოფა; დავების განხილვის მექანიზმების განმარტება პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით. აღნიშნულის მიღწევა დაგეგმილია სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.

სასწავლო ცენტრის ძირითადი სასწავლო კურსი, რომლის სახელწოდებაა - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი", 40 საათს მოიცავს. ტრენინგის დაწყებისთანვე მსმენელებს ურიგდებათ სასწავლო მეთოდურ-პრაქტიკული მასალები, შესყიდვების პროცედურების გზამკვლევი, სხვა სასარგებლო ლიტერატურა და ბრენდირებული მეხსიერების ბარათები, მათზე ჩაწერილი ციფრული ინფორმაციით. კურსის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სამუშაო დღის განმავლობაში ეწყობა ყავის შესვენება და ლანჩი. სასწავლო კურსის წარმატებულად დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ სერთიფიკატები.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს IT-სპეციალისტების მიერ, საგანგებოდ სასწავლო ცენტრისათვის, შეიქმნა პრე და პოსტ-ტესტირების უნიკალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ტრენინგის მსმენელთა ცოდნის დონე, როგორც სასწავლო კურსის დაწყების წინ, ისე ტრენინგის დასასრულს, სერტიფიკატების გაცემამდე.

ტრენინგის კურსის პირველ დღეს მსმენელებს უტარდებათ on-line პრეტესტირება, რითაც, განისაზღვრება მათი ცოდნის დონე, მოცემული დროისათვის.

პრე-ტესტი შედგება 50 კითხვისგან, რომელიც სპეციალური ალგორითმის მიხედვით შეირჩევა 200 კითხვის მონაცემთა ბაზიდან. თითოეულ კითხვას აქვს 3 სავარაუდო, მათ შორის, ერთი სწორი პასუხი და ფასდება 2 ქულით.

პოსტ-ტესტირება ტარდება კურსის დასრულებისთანავე, ასევე ონ-ლინე, ანალოგიური შეფასების სისტემითა და კითხვების იგივე რაოდენობით, რაც პრე-ტესტში. საბოლოო

შეფასებით განისაზღვრება მსმენელთა სერთიფიკატების კატეგორიები.

შეფასების 100-ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, დამტკიცებულია სერთიფიკატის სამი კატეგორია:

- „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ - 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
- „კარგად ჩააბარა ტესტირება“ — 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
- „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ — 40%-დან 60%-მდე დაძლევის

შემთხვევაში.

სასწავლო პროცესს ტრენინგ ცენტრში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასაქმებული პრაქტიკოსი ტრენერები წარმართავენ

სასწავლო ცენტრის 12 ტრენერი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დეპარტამენტების, სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები არიან. მათი სასწავლო პროცესში ჩართვა განაპირობა სახელმწიფო შესყიდვების შექმნასა და განვითარებასთან, სიახლეების იმპლემენტაციასთან, არსებული ხარვეზების გამოვლენასა და აღმოფხვრის პროცესთან უშუალო შემხებლობამ, რაც განაპირობებს ტრენერთა მაქსიმალურ ინფორმირებულობასა და კომპეტენტურობას. მეორე მიზეზი, რის გამოც ტრენერებად შერჩეულ იქნენ ზემოთ ხსენებული კანდიდატები გახლდათ ის, რომ მსმენელების, იგივე შესყიდვების სფეროში დასაქმებული მოსამსახურეების უშუალო კონტაქტი ტრენერებთან (შესყიდვების სააგენტოს პასუხისმგებელ პირებთან) უნდა გამხდარიყო როგორც მათი კვალიფიკაციის დონის მატების, ისე, სამომავლოდ, უწყვეტი კონტაქტისა და შემსყიდველთა კონსულტირების წინაპირობა.

ორივე მოსაზრება მისაღებია, მასში ჩადებული კეთილი ნებისა და სავარაუდო მოლოდინების გამო. ძალიან მნიშვნელოვანია, მსმენელთათვის სრულფასოვანი ინფორმაციისა და გამოცდილების გადაცემა უშუალო შემსრულებლების მიერ და მათთან პოზიტიურად საქმიანი ურთიერთობის ფორმირება რაც, როგორც ტრენინგ-ცენტრის დირექტორმა, თენგიზ თოფურიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მათ მიერ დასახული ერთ-ერთი მიზანი გახლდათ.

დადებით კონტექსტში უნდა აღინიშნოს ტრენერების კომ-

პეტენციისა და გამოცდილების, მსმენელთა შეკითხვებისათვის ადეკვატური მზაობის, ინფორმაციის გადმოცემის ხარისხისა და ტრენერთა მოტივაციის თაობაზე - რაც შეიძლება მეტი გადასცენ მსმენელებს, როგორც პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციის, ისე კითხვა-პასუხის ნაწილში.

აღსანიშნავია, თეორიის გასაგებ ენაზე პრეზენტირება და მსმენელთა პოზიტიური დამოკიდებულება ტრენერთა როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ მახასიათებლებთან მიმართებაში. განვლილი ნაკადების მუშაობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკუსიები ტრენერსა და მსმენელებს შორის, გრძელდებოდა აკადემიური საათის დასრულების შემდეგაც. კურსის აქტუალობამ და ტრენერთა კომპეტენციამ ჯამში სასურველი შედეგი მოგვცა.

მსმენელებთან ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრების თანახმად ყველა ტრენერი მაღალრეიტინგულია.

დღევანდელი მონაცემებით, ჯამში მომზადდა 238 საჯარო მოსამსახურე, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 148 მოსამსახურე, საქართველოს 71 მუნიციპალიტეტიდან და სახელმწიფო უწყებების 90 მოსამსახურე.

ჩატარდა ტრენინგების 6 კურსი, როგორც სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ქ. თბილისის მერიის, ქ.თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული სსიპ-ების, ააიპ-ებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეთათვის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა და ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

სასწავლო ცენტრში, შესყიდვების კუთხით, ასევე, მომზადდა ბიზნესორგანიზაციების 45 წარმომადგენელი.

ტრენინგი ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენელთათვის

მიმდინარე წლის 8 მაისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, გაიმართა სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

ტრენინგზე, გარდა სასწავლო ცენტრის ტრენერთა მიერ ჩატარებული ინტენსიური „სახელმწიფო შესყიდვების კურსისა“, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სპეციალისტმა სანდრო ნოზაძემ (Europe and Central Asia - ECCU3) წარმოადგინა ელექტრონული შესყიდვების სისტემა - მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში (მოკლე მიმოხილვა და სამომავლო გეგმები) და ისაუბრა მსოფლიო ბანკის სტანდარტულ სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამმართველოს უფროსმა ირაკლი ფარესიშვილმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დაფინანსებით შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსმა ლუკა მოსაშვილმა წარმოადგინეს საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა - მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, საინტერესო მაგალითები განხორციელებული ტენდერებიდან და არსებული პრობლემები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის 18 მაისს, მსმენელთათვის სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ღონისძიებით დასრულდა.

ტრენინგების ოთხი ნაკადი დასრულდა



მიმდინარე წლის ტრენინგების 4 ნაკადის 12 სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ 14 სამინისტროს, საქართვე-

ლოს პარლამენტის, საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის საბჭოს, ქ. თბილისის მერიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისა (სსიპ-ებისა და ააიპ-ების ჩათვლით) და თვითმმართველობის ორგანების წარმომადგენლები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია
- საქართველოს პარლამენტის აპარატი
- ქ. თბილისის მერია
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- საქართველოს მთავარი პროკურატურა
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია
- ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ააიპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“
- სსიპ "საქართველოს ეროვნული მუზეუმი"

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეებისათვის ჩაატარა ათდღიანი ინტენსიური კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 56 მოსამსახურისათვის, რომლის შედეგად ტრენინგმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონის 71-ივე მუნიციპალიტეტის გამგეობა და მერია.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა თენგიზ თოფურიძემ, სასწავლო პროცესის, ტრენერების და სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შეფასების სისტემის შესახებ განაცხადა

რომ ტრენინგის ორგანიზაციული ნაწილის, სასწავლო პროგრამის, დამხმარე მასალებისა და ტრენერების მუშაობის შეფასებას სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია რამდენიმე მეთოდის გამოყენებით ახდენს:

- ქოუჩერის ფრაგმენტული დასწრება ტრენინგზე, რის

შემდეგაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება ტრენერთა ინდივიდუალური კონსულტირება;

- ინდივიდუალური წერილობითი ჩექლისტები (მსმენელებს ურიგდებათ ნაბეჭდი ფორმა);
- ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრება მსმენელებთან

შეფასებისას, სასწავლო ცენტრის მენეჯმენტი ითვალისწინებს მსმენელთა მიერ ტრენინგის მსვლელობის დროს ნებისმიერი ფორმით გამოხატულ შეფასებას (სტიკერები, ფერადი ფურცლები, საკუთარი ხელით მომზადებული პოსტერები და სუვენირები და სხვ.) თუმცა ტრენერების საბოლოო შეფასებისთვის განსაზღვრულია მათი შეფასების კრიტერიუმები:

- კომუნიკაციის უნარი;
- ტრენინგის მიზნებისა და ქვემიზნების განსაზღვრა;
- თეორიის გასაგებ ენაზე პრეზენტირება;
- პრაქტიკული დავალებების - სიტუაციური სავარჯიშოების, პრობლემური სიტუაციის ანალიზისა (“Case-study”) და საქმიანი თამაშების, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზება;
- დისკუსიის წარმართვა;
- ტრენინგის ფაზების ადეკვატური წარმართვა;
- დამხმარე მედიების გამოყენება;
- ვიზუალი.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად მეთოდურად მიჰყვებიან ტრენერები ტრენინგის სქემას:

- მისალმება;
- ტრენერის წარდგენა და მონაწილეთა გაცნობა;
- მონაწილეთა მოლოდინის გამოკითხვა;
- ტრენინგის კონცეფციის გაცნობა;
- დღის წესრიგის წარდგენა;
- მუშაობის წესების ჩამოყალიბება;
- თემატური რეზიუმირება;
- ყოველი სესიის ბოლოს მიზნის გახსენება და განვლილი მასალების შეჯამება;
- ყოველი სესიის დასაწყისში წინა სესიის მასალების გახსენება;
- ყოველი დღის ბოლოს შეჯამება.

სამომავლო გეგმების შესახებ

სასწავლო ცენტრის დირექტორის, თენგიზ თოფურიძის თქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის სამოქმედო გეგმის თანახმად, ყოველწლიურად, ცენტრმა უნდა მიიღოს და გადაამზადოს მსმენელთა 10 ნაკადი, რაც ჯამში 500-მდე გადამზადებულ სპეციალისტს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, შემუშავებულია რეალური გეგმა, რომლის თანახმადაც ეს რიცხვი 1000-მდე უნდა გაიზარდოს. მიზნობრივი ჯგუფები უცვლელია - სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეები.

აღნიშნული სასწავლო კურსების პარალელურად, ტრენინგები ჩატარდება მიმწოდებლებისთვისაც - იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იღებენ მონაწილეობას.

სასწავლო ცენტრის ვებგვერდი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განახლებულ საიტში www.procurement.gov.ge ჩაშენებულია სასწავლო ცენტრის ვებგვერდი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს ცენტრის საქმიანობის შესახებ

www.procurement.gov.ge

სასწავლო ცენტრის მენიუში წარმოდგენილია შემდეგი პოზიციები: ინფორმაცია ცენტრის, ტრენინგ-კურსების, ტრენერების, ცენტრის პარტნიორების შესახებ; აქვეა, მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ჩატარებული ტრენინგების წლიური და მიმდინარე ანგარიშები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.

პოზიცია „ცენტრის შესახებ“ ძალიან საინტერესო ქვემენიუსაგან შედგება. აქ წარმოდგენილია ცენტრის მისია, სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც შეიქმნა და ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; ინფორმაცია ცენტრის მიღწევების, ინფრასტრუქტურისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც შექმნეს სასწავლო ცენტრი, დღემდე უძღვებიან და ავითარებენ მას. აქვე წარმოდგენილ ფოტო-გალერეაში თქვენ იხილავთ ძალიან დინამიკური და პროფესიონალურად ორგანიზებული სასწავლო პროცესის ამსახველ ფოტოებს.

თუკი დაუბრუნდებით სასწავლო ცენტრის ვებგვერდის საწყის პოზიციას და საერთო ჩამონათვალში აირჩევთ „ტრენინგებს“, შესაძლებლობა მოგეცემათ მიიღოთ სრული ინფორმაცია ტრენინგ-კურსებისა და მათი ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. აქვე გეძლევათ შესაძლებლობა შეავსოთ ელექტრონული აპლიკაციის ფორმა და ასევე, ელექტრონულად გააკეთოთ განაცხადი, ტრენინგში მონაწილეობის თაობაზე.



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

განაცხადის ფორმა

გთხოვთ, დარეგისტრირდეთ:

სახელი / გვარი ----------

პირადი ნომერი ----------

ორგანიზაციის დასახელება ----------

დაკავებული თანამდებობა ----------

საკონტაქტო მობილური ტელეფონი ----------

ელ-ფოსტისმისამართი ----------

გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის წინამდებარე ფორმა, დაასკანეროთ და გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე: training.center@spa.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

გისურვებთ წარმატებებს!

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო ცენტრთან შექმნილია საპრეტენზიო კომისია, რომლის მიზანია, განიხილოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების მსმენელთა პრეტენზიები სასწავლო ცენტრში მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცენტრის ვებგვერდზე თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა დაათვალიეროთ სასწავლო ცენტრის საპრეტენზიო კომისიის სივრცე, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი გადაწყვეტილებები მსმენელთა საპრეტენზიო განაცხადებზე.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსმენელთა რეკომენდაციები, მათი შენიშვნები და მოსაზრებები სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სწავლების თაობაზე, რასაც აქვე „მსმენელთა შთაბეჭდილებებში“ იხილავთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ სამუშაო დღეებში, 9 საათიდან 18 საათის ჩათვლით.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისთვის ტესტირების სისტემა შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ. ეს სისტემა მაქსიმალურად მორგებულია მსმენელების კომფორტზე

SOFT

1.

შეგვყვავს პირადი ნომერი და ვაგრძელებთ რეგისტრაციას.

2.



დამახსოვრების შემდეგ თუ ჩართულია იწყება ტესტირება, თქვენი მონაცემების ნახვას ნებისმიერ დროს შეძლებთ.

3.



როგორც ვხედავთ ტესტის დაწყებიდან დასრულებამდე მოცემული გაქვთ ორი საათი. კითხვების რიგითობა არჩეულია შემთხვევითი მეთოდით, ასევეა კონკრეტული კითხვის პასუხების თან-მიმდევრობაც.

4.



ტესტირებისას 30 და 15 წუთით ადრე ტაიმერი წითლდება და სისტემა გატყობინებთ რამდენი დრო დაგრჩათ ტესტის დასრულებამდე.

5.



თუ შემთხვევით მსმენელს გამორჩება რომელიმე კითხვა სისტემა არ დაგამთავრებინებს ტესტს და შეგატყობინებს რომ ყველა კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული, ასეთ კითხვას კი თავისით იპოვის და გააწითლებს.

6.



ტესტის დასრულებისთანავე სისტემა გატყობინებთ თქვენს შედეგს. ასევე შეგიძლიათ ნახოთ დაშვებული შეცდომები და სწორი პასუხები. ლურჯი ფერით აღნიშნულია სწორი პასუხები, ხოლო ისინი რომლებსაც მსმენელმა არასწორად უპასუხა კი შავი ფერით.

7.

ადმინისტრატორის მხარე უფრო დატვირთულია საჭირო ფუნქციებით.
შეგიძლიათ ჩართოთ და გამორთოთ PRE და POST TEST.



შეგიძლიათ აკონტროლოთ ნაკადები, ჯგუფები, შეიყვანოთ ახალი მსმენელების პირადი ნომრების ნებისმიერი რაოდენობა ერთდროულად (ყოველი ახალი სტროფიდან). სისტემა ავტომატურად აფიქსირებს ერთნაირ კითხვებს ან პასუხებს რათა არ მოხდეს ტესტში ამ უკანასკნელების გამეორების ფაქტები. ასევე ნახოთ ახალი და აქტიური მსმენელები და არქივი.

8.

POST TEST



საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პასუხი
1	50% (11)	50% (11)	3 (50%)
2	96% (26)	4% (1)	2 (96%)
3	92% (22)	8% (2)	1 (92%)
4	94% (31)	6% (2)	3 (94%)

ანალიტიკის განყოფილებაში შეგიძლიათ მიუთითოთ თარიღები საიდან სადამდე გსურთ დიაგრამის შექმნა და სისტემა თავად დაიანგარიშებს ყველაფერს.

მსმენელთა შეფასებები და შთაბეჭდილებები

ნატო ხუროშვილი

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

ტრენინგი - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის - უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის გავლის შემდეგ აღმოიფხვრა შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. აღნიშნული წარმატება განაპირობა როგორც ტრენერების მაღალკვალიფიციურობამ და ჯანსაღმა დამოკიდებულებამ მსმენელებთან, ისე ტრენინგების სწორად ორგანიზებულმა ფორმატმა: კითხვა-პასუხის რეჟიმისა და დისკუსიას ერთობლიობამ.

ტრენინგის ხანგრძლივობა, 10 დღე, სრულიად საკმარისი იყო ყველა საკითხის საფუძვლიანად განსახილველად, რასაც შედეგებიც ცხადყოფს: პრეტესტირების შედეგი -66 ქულა, პოსტ ტესტირებისას 12-ით გაუმჯობესდა (78 ქულა). შეიძლება ითქვას, რომ ტრენინგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

გიორგი ზმოიანი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ კურსებს აუცილებლობიდან გამომდინარე ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნული ტრენინგი პირდაპირ კავშირშია კვალიფიკაციის ამაღლებათან, ამიტომ მასში მონაწილეობაზე უარის თქმით ჩვენ კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელოვან შანსს გავუშვებდით ხელიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა სრულფასოვნად დახვეწილი არაა და მუდმივად განახლებადია, სახელმწიფო შესყიდვებში დასაქმებული თითოეული მოხელე ვცდილობთ თვალყური ვადევნოთ სიახლეებს და გამოვიყენოთ ჩვენს სფეროში, რაშიც დიდია ტრენინგების წვლილი.

სასწავლო ცენტრის ტრენერები სააგენტოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები არიან მრავალწლიანი გამოცდილებით. სწორედ ეს განაპირობებს ტრენინგების მიმდინარეობის პროცესის ორგანიზებულობას: პრაქტიკული ქეისებისა და თეორიული მასალების თანადროულ განხილვას ინტერაქციულ რეჟიმში.

რაც შეეხება ტრენინგების ხანგრძლივობას, 10 დღე საკმარისი პერიოდი იყო იმ მსმენელებისთვის, რომელთაც გვქონდა საბაზისო ცოდნა, თუმცა მომავალში სასურველია საბაზისო ცოდნის მქონე მსმენელებისთვის უფრო ხანმოკლე ტრენინგების ჩატარება.

ცხადია ტრენინგების დაწყებამდე გვქონდა მოლოდინები, რომელთა გამართლებაზეც ფაქტები მეტყველებენ. პრეტესტისა და პოსტტესტირების მაჩვენებლების მიხედვით, პირადად ჩემი ცოდნა 50%-ით გაუმჯობესდა, ისევე როგორც ყველა მსმენელის რაღაც პრიცენტით. მოლოდინები გამართლდა, ყველა მსმენელი კმაყოფილია.

ელდარ გოლძვაძე

ხულოს მუნიციპალიტეტი გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ახალია საქართველოში და სულ რამდენიმე წელს ითვლის. ტრენინგის გავლის აუცილებლობა სწორედ აქედან გამომდინარეობდა - ტენდერების შემდგომში უკეთესად მობილიზაციისა და ორგანიზებისთვის. ვაწყდებოდით ისეთ პრაქტიკულ პრობლემებს, რომლებზეც პასუხებს ვერ ვიღებდით კანონმდებლობიდან, ტრენინგმა კი ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხები გაგვცა.

ყველა ეტაპზე გაწერილი იყო თავად ტრენინგების მიმდინარეობის პროცესი. თითოეული ეტაპი თავისმხრივ საინტერესო იყო, რადგან ურთიერთობა გვქონდა მაღალკვალიფიციურ ტრენერებთან, რომელთა გამოცდილება და გადმოცემის უნარი იყო ამომწურავი. რაც შეეხება ტრენინგის ხანგრძლივობას, სასურველი იქნება უფრო გაიზარდოს მომავალში, თუმცა ამ ეტაპისთვის, ვადები, რომელზეც გაიწერა ტრენინგების პროცესი ნორმალურია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ურთიერთობა ჩემს პირად სამსახურეობრივ მოვალეობას - ქაღალდის ტენდერებს მოიცავს, რომლს ელექტრონულ სისტემაში განხორციელებისას იქმნებოდა კონკრეტული პრაქტიკული პრობლემები, თუმცა ტრენინგის მიმდინარეობისას განხილული იქნა და ყველა შეკითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი.

ტრენინგების ეფექტურობასთან დაკავშირებული მოლოდინები საზოგადოებაშიც, ისევე როგორც შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებლებში დიდი იყო. ყველა იმედოვნებდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნდა ყველანაირი უნარი, რომ შეექმნა კონკურენციის გაძლიერების პირობა. მე გავიარე აღნიშნული ტრენინგი და ყველას სახელით შემიძლია ვთქვა, რომ მისმა ფექტურობამ მოლოდინს გადააჭარბა.



ეკა ბენდელიანი

საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

„საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც მე წარმოვადგენ, უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აქტიურად მონაწილეობს როგორც საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორში, ისე მთლიანად რეგიონში მიმდინარე ენერგეტიკულ პროექტებში. ბუნებრივია, ჩვენი კორპორაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას, მათ შორის, შესყიდვების პროცესის მაღალკვალიფიციურ დონეზე ჩატარება ჭირდება. მიხარია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა ბევრი რამ შემძინა ცოდნისა და გამოცდილების თვალსაზრისით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც სააგენტოს ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლების გაცნობა, ისე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან დაახლოება და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. ძალიან საჭირო და წარმატებული ტრენინგი იყო. ვისურვებდი, მსგავსი ტრენინგები ჩატარდეს პერიოდულად და ცალ-ცალკე, დეტალურად გაიშალოს კონკრეტული თემატიკა. სრულიად სააგენტოს და კონკრეტულად, სასწავლო ცენტრს ვუსურვებ წინსვლას და წარმატებებს. მადლობა, რომ საინტერესოდ და ნაყოფიერად გავატარეთ სწავლების რამდენიმე კვირა.“

იულია ტყეშელაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტო

„ტრენინგმა მომცა შესაძლებლობა, გამეცნო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის კვალიფიციური ტრენერები და შემსყიდველები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან. ეს ყველაფერი ძალიან სასარგებლო გამოცდილებაა ჩემთვის. ტრენინგი, ზოგადად, ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების კანონში უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე. დიდი მადლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრს საინტერესო და მეტად საჭირო ტრენინგების ორგანიზებისათვის და ვუსურვებ წარმატებებს.“

ანა ჭოლოკავა

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

„მინდა მადლობა გადავუხადო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრს კვალიფიციურად და ორგანიზებულად ჩატარებული ტრენინგ-კურსისთვის. „სახელმწიფო შესყიდვების კურსის“ გავლამ საშუალება მომცა სიღრმისეულად გავრკვეულიყავი შესყიდვების პროცესის დეტალებში, რაც თავისთავად, ბევრად მარტივს და ორგანიზებულს ხდის ჩემს სამუშაო პროცესს.“



დავით ლოლაძე

შპს „სამშენებლო კომპანია მშენებელი 2011“

„პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო სასწავლო ცენტრს, რომ საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო თქვენს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ტრენერს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგით ჩემი ცოდნა უფრო გაღრმავდა და მეტი ინფორმაცია მივიღე ბოლო დროს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებაში, რაც ჩემს შემდგომ საქმიანობაში გამომადგება. კარგია, რომ ტრენინგებს სისტემატიური სახე აქვს, რადგან ყველა შემსყიდველი შეძლებს კვალიფიკაციის ჯეროვნად ამაღლებას.“

სოფიო ბარბაქაძე

საქართველოს იუსტიციის სამინიტრო

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ტრენინგების მიმდინარეობისას, საშუალება მოგვეცა გაგვეცნო სხვა ორგანიზაციებში დასაქმებული ჩვენი კოლეგები, გავეზიარებინა ერთმანეთისთვის გამოცდილება.

გავიცანით სააგენტოს წარმომადგელები და გავუზიარეთ ჩვენი ხედვები შესყიდვების კუთხით. კიდევ ერთხელ განვიხილეთ სახელმწიფო შესყიდვების კანონი, სხვადასხვა ნორ-

მატიული აქტები და პრაქტიკული მაგალითების საშუალებით ავიმაღლეთ კვალიფიკაცია. სწავლების პროცესში მიმდინარეობდა მსჯელობები ზოგიერთ ბუნდოვან საკითკებთან დაკავშირებით, რამაც საშუალება მოგვცა მივსულიყავით ლოგიკურ დასკვნებამდე. მადლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრს ძალიან საჭირო და დროული ტრენინგების ჩატარებისთვის.“

ლევან ზოზირაშვილი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

„გმადლობთ საინტერესო ტრენინგებისათვის, რომელმაც კიდევ უფრო განმიმტკიცა არსებული ცოდნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში და გამაცნო ბევრი სიახლე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების კუთხით მომუშავე სპეციალისტებისათვის. დიდი მადლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრს კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. მიხარია, რომ გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი, ვისთანაც უაღრესად საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობები ჩამომიყალიბდა. სასურველია, მსგავსი ტრენინგები კვლავაც ჩატარდეს, რათა ამ სფეროში არსებული პრობლემების რიცხვი მაქსიმალურად შემცირდეს, რაც თავისთავად გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვასა და შემსყიდველთა უსაფრთხოებას.“

ვერიკო ბაინდურაშვილი

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

„ვფიქრობ, ძალიან საჭირო და დროული პროექტია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარება. ძალიან საინტერესო იყო იმ სიახლეების გაცნობა, რაც ბოლო პერიოდში ინერგება სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში. ასევე ძალიან საინტერესო იყო კანონმდებლობასა და ნორმატიულ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღება. გავიცანი კოლეგები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან და ასევე, სააგენტოში მომუშავე ადამიანები, ვინც უშუალოდ არიან ჩართული შესყიდვების ელექტრონული სისტემის სრულყოფაში. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა მომავალში ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იქნება.“

მაკა სოხაძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

"დასრულდა ტრენინგები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში და მინდა აღვნიშნო, რომ მოლოდინი ამ ტრენინგის მიმართ გამართლდა. საშუალება მქონდა გავცობოდი სააგენტოს მიერ მოცემულ რეკომენდაციებს ზოგად, თუ კონკრეტულ საკითხებზე. შეხვედრები იყო ძალიან საქმიანი, ასევე თბილი გარემო. ძალიან კმაყოფილი ვარ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ამ ინიციატივის და დიდ მადლობას ვუხდი მათ ყველაფრისთვის. რა თქმა უნდა, მომავალშიც სიამოვნებით ვითანამშრომლებ მათთან."

ტრენერები

სასწავლო ცენტრი

მანანა შურღულაია

საერთაშორიოს ურთიერთობების სამსახურის უფროსი

ტრეინინგი საშუალებას აძლევს მსმენელს იყოს ინფორმირებული სიახლეების შესახებ. ჩვენ ვცდილობთ მივაწოდოთ მათ ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების და სიახლეების შესახებ, ასევე საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, რომელიც დგას სახელმწიფო შესყიდვების სისტემის წინაშე DCFTA და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

სოფიკო ბერიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სასწავლო ცენტრის გახსნას და მისი მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, ძალიან საინტერესოა ტრენინგების შედეგი და მსმენელთა შეხედულებები.

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო ცენტრის საქმიანობას სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული პირები.

ტრენინგის მეშვეობით ხდება კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნორმების განმარტება და დაკავშირებული საკანონმდებლო სივრცის განხილვა, რაც სიახლეს წარმოადგენს მსმენელთათვის, რამდენადაც მათი პროფესიები საკმაოდ მრავალფეროვანია.

ასევე, საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონალის აღწერა.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა თითოეული მსმენელი სახელმწიფო შესყიდვების რომელ პროცედურაშია სამსახურეობრივად ჩართული, ტრენინგზე იღებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სრულ ინფორმაციას, რაც უწყობს ხელს მისი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას და მის კარიერულ წინსვლას.

ალექსანდრე ჩხიკვიშვილი

ანალიტიკოსი

საქართველოში სახელმწიფო სექტორთან დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება წელიწადში 2,7 მილიარდ ლარს აჭარბებს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს უტოლდება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დანერგილმა ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო ტენდერებში საწარმოების მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, ელექტრონული სისტემის სრული პოტენციალის გამოყენებისათვის, შემსყიდველ ორგანიზაციებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება მიმწოდებლებზე. სააგენტოს მიერ ინიცირებული უკანასკნელი ტრენინგებით მიმწოდებლებს ჩამოუყალიბდებათ სათანადო ცოდნა, განწყობა და უნარ-ჩვევები, რაც მათ გაუმარტივებს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიღებას. ყოველივე ზემოაღნიშნული, თავისთავად, დადებითად აისახება სახელმწიფო ტენდერებში მიმწოდებელთა მაღალ აქტივობასა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიაზე.

მაია კუხალეიშვილი

მონიტორინგის დეპარტამენტის გამარტივებული ხელშეკრულებების, კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი

მონიტორინგის დეპარტამენტის გამარტივებული ხელშეკრულებების, კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების ტრენინგები მნიშვნელოვანია იმით, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში ჩართული ადამიანებისთვის ხდება იმ მრავალწლიანი ცოდნის გაზიარება, რომელსაც ფლობს თითოეული ტრენერი. სწავლის პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების განმარტებით და სახელმწიფო შესყიდვების კანონდარღვევის ფაქტებზე პრაქტიკული მაგალითების განხილვით, რომელიც ძალიან მოსწონთ მსმენელებს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის განმახორციელებელი და უშუალოდ შესყიდვის პროცედურებში ჩართული პირები საერთო ენაზე განიხილავენ შესყიდვებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც სიახლეს წარმოადგენს მსმენელებისათვის. ამ პროცესში მონაწილე მსმენელები სამომავლოდ შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას და ძალიან გაუმარტივებს მათ დაგეგმილი და განსახორციელებელი შესყიდვების წარმართვას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

თათა გორდელაძე

იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგები მნიშვნელოვანია ყველა იმ შემსყიდველი ორგანიზაციის და მიმწოდებლებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. ტრენინგები მნიშვნელოვანია იმ მხრივ რათა მათ სწორად განახორციელონ შესყიდვა, დაიცვან კანონმდებლობა და განახორციელონ ის პოლიტიკა რომელიც აქვს სახელმწიფო შესყდივების სააგენტოს. ასევე, მნიშვნელოვანია ტრენინგების დროს მიღებული ცოდნა შემსიდველი ორგანიზაციებისათვის რადგან ტრენიბგზე ხდება ყველა იმ მნიშვნელოვაბნ დეტალზე ხაზგასმა რომელიც შესაძლებელია იყოს აღმოჩენილი სააგენტოს მიერ. მიღებული ცოდნა დაეხმარება რათა თავიდან აიცილონ დაწესებული სანქციები. ასევე, მნიშვნელოვანია იმ მხრივ რომ მიმწოდებლები შეძლებენ მიღებული ცოდნით უფრო

მეტად დაიცვან საკთარი ინტერესები როგორც ტენდერების მინდინარეობის ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგები მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში დასაქმებული პირთასთვის, ემსახურება მათი ცოდნის ამაღლებას და ზოგადად ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის განვითარებას როგორიც სახელმწიფო შესყიდვებია.

კონსტანტინე გუგეშაშვილი
მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი მიზნების სრულად და ეფექტურად მიღწევის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციების და მიმწოდებელი ორგანიზაციების გადამზადებას. აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების განხილვა, ასევე სახელმწიფო შესყიდვებისას გამოვლენილი იმ ხარვეზების განზოგადება რაც ფიქსირდება სააგენტოს მიერ მონიტორინგის განხორციელებისას. ყოველივე აღნიშნული, უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

სასწავლო ცენტრი